

პირველადი ჯანდაცვის საიუბილეო თარიღი - ალმა-ატის კონფერენციის 30-ე წლისთავის
მოლოდინში:

გთხოვთ მოგვაწოდოთ ნაშრომები

2008 წლის 12 სექტემბერს პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კონფერენციაზე ალმა-ატის დეკლარაციის 30-ე წლისთავი აღინიშნება, რომლის თანახმადაც, პირველადი ჯანდაცვა 2000 წლისათვის, სოციალურად და ეკონომიურად პროდუქტიული ცხოვრებისათვის აუცილებელი ჯანმრთელობის დონის მიღწევის საფუძველთა საფუძვლად გამოცხადდა. აღნიშნული დეკლარაცია ჯანმრთელობას განიხილავს, როგორც განვითარების საწინდარს. მისი მიღებიდან გასული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა დებატები სელექტიურ პირველად ჯანდაცვასა და ალმა-ატის სტრატეგიებს შორის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ჰალფდან მაჰლერს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ალმა-ატის დეკლარაციის, კონცეფციის „ჯანმრთელობა ყველასათვის - 2000 წელს!“ და პირველადი ჯანდაცვის ყოვლისმომცველი ხედვის ჩამოყალიბებაში, პოსტზე ყოფნის ვადა 1998 წელს ამოეწურა. მისი მემკვიდრის პოსტზე ყოფნის პერიოდში, პირველადი ჯანდაცვამ მოწინავე პოზიციები დათმო: ალმა-ატის კონფერენცია კაპიტალიზმისა და კომუნის იმდროინდელი იდეოლოგიური დაპირისპირების მსხვერპლადაც შეიძლება ჩაითვალოს - აშკარა იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია, დასავლეთში სრულ მხარდაჭერას ვერასოდეს მოიპოვებდა.

შემდეგ იყო 1990-იანი წლების „ინვესტირება ჯანდაცვაში“, 2000 წლის ათასწლეულის (მილენიუმის) მიზნები. დღესდღეობით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პრიორიტეტს კვლავ პირველადი ჯანდაცვის განვითარებას ანიჭებს. 2006 წლის მსოფლიო ჯანმრთელობის ასამბლეაზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ნომინირებულმა გენერალურმა დირექტორმა, მარგარეტ ჩანმა, თავის მიმართვაში ხაზი გაუსვა, რომ მხარს უჭერს ჰალფდან მაჰლერის იდეებს. 2008 წლის *ჯანმრთელობის მსოფლიო ანგარიშში* ყურადღება გამახვილებული იქნება პირველადი ჯანდაცვის გადამწყვეტ როლზე ჯანდაცვის მძლავრი სისტემების ჩამოყალიბებაში.

ალმა-ატის დეკლარაციის კონცეფციის განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო მთელ რიგ საშუალო განვითარებისა და ინდუსტრიულ ქვეყნებში, თუმცა კვლავ უამრავი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი, მათ შორის, პირველადი ჯანდაცვის ყოვლისმომცველობის იდეა და რელევანტურობა, პრიორიტეტების დასახვა უაღრესად მწირი რესურსების პირობებში, ჯანდაცვის მუშაკების სათანადო რაოდენობის მოზიდვა, მომზადება და გადამზადება, სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიების ინტეგრაცია, კერძო სექტორის წვლილი (თუ გავითვალისწინებთ მის წამყვან როლს არაერთ ქვეყანაში), სხვა სექტორების ჩართვა თემის დონეზე და მისი შედეგები, ეფექტური რეფერალური სისტემის, პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნების პროფესიული ფუნქციების შემდგომი განვითარება, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, აკადემიური წრეების მონაწილეობა კვლევისა და სწავლების პროცესებში და სხვ.

ცნობილი გახდა, რომ ალმა-ატის დეკლარაციის ისტორიული მნიშვნელობის აღიარებიდან და პირველადი ჯანდაცვის მიმართ უცვლელი ინტერესიდან გამომდინარე, ჟურნალი „*ლანცეტი*“ აღნიშნულ თემას სპეციალურ გამოშვებას მიუძღვნის, სადაც სხვადასხვა კუთხით იქნება გაშუქებული პირველადი ჯანდაცვის პერსპექტივები და წინააღმდეგობები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ პირველადი ჯანდაცვისა და პირველადი ჯანდაცვის პოლიტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ორიგინალური კვლევების ამსახველი შრომები, რაც დისკუსიის შემდგომ გაგრძელებას შეუწყობს ხელს.

გთხოვთ აღნიშნული შრომები მოგვაწოდოთ 2008 წლის 1 თებერვლამდე.

ენდი ჰეინესი, ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სკოლა

რიჩარდ ჰორტონი, ჟურნალი *The Lancet*

ზულფიქარ ბჰუტა, პაკისტანის აგა ხანის უნივერსიტეტის პედიატრიისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დეპარტამენტი

Andy.Haines@lshtm.ac.uk